



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 61

2014 წლის 5 სექტემბერი

ქ.დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული „მანის“ ტიპის (19,272) უნაგირა საწვევარიანის და „მანის“ ტიპის მისაბმელის სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტოსთვის“ უსასყიდლო თხოვების ფორმით გადასაცემად, დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილების შესაბამისად, ამავე კანონის 122-ე მუხლის მეოთხე ნაწილის საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, დუშეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული „მანის“ ტიპის (19,272) უნაგირა საწვევარიანი და „მანის“ ტიპის მისაბმელი, უსასყიდლო თხოვების ფორმით გადასცეს, სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტოს“.

2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი